დანართი 1

ნოდარ ბელქანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია (2009-2013წწ)

ერის საუკეთესო შვილები ოცნებობდნენ "იმ სანატრელი განძის შეძენაზე, რომელსაც ცოდნა ჰქვიან" (ილია ჭავჭავაძე), ვინაიდან მხოლოდ განათლებული ერები ხდებიან მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრები.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია განათლების სისტემის ძირეული ტრანსფორმაციის აუცილებლობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს გარდაქმნის პროცესშია. მიმდინარეობს ცვლილებები, რომელთა მიზანია ბოლონიის პრინციპების საფუძველზე აკადემიური თავისუფლებისა და საუნივერსიტეტო ავტონომიის განვითარება, განათლების ხარისხის ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება შრომისა და განათლების საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების ჩვენეული კონცეფცია, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ესენია: **სწავლება, კვლევა, ადმინისტრირება.**

სწავლება

- სტუდენტთათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიცემა შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

- სისტემის მოქნილობა; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მოდერნიზება და მათი ევროპულ სტანდარტებთან და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამება.

- სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.

- სწავლების ხარისხის გამუდმებული გაუმჯობესების სტრატეგია.

- სასწავლო პროცესში უცხოელი სპეციალისტებისა და უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი სპეციალისტების სულ უფრო მეტი ჩართვა.

- უცხოენოვანი პროგრამების ამოქმედება, სამხრეთ კავკასიისა და სხვა ქვეყნებიდან სტუდენტთა მოზიდვისა და უცხოეთში უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის პოპულარიზაციის მიზნით.

- უფრო მეტი საერთაშორისო და ინტერდისციპლინური პროგრამების შექმნა ერთობლივი აკადემიური ხარისხების მინიჭების პერსპექტივით.

- წარჩინებულ სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მივლინება უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში და მეტი ინტენსივობით ჩაბმა საუნივერსიტეტო გაცვლით პროგრამებში, მათი პროფესიული ზრდის მიზნით.

- მთლიანად გადასვლა შედეგზე ორიენტირებულ განათლებაზე, რაც სტუდენტთა ინტერესებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება.

- სტუდენტებისთვის პრეზენტაციებისა და ტრენინგების ორგანიზება მათი დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ცოდნის ადექვატურად წარდგენის და გამოყენების მიზნით.

- დიდ და მცირე საწარმოებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება, მათი ინფორმირება-დაინტერესება განსაკუთრებით ფაკულტეტის იმ სამაგისტრო პროგრამებით, რომლებიც პრაქტიკაზეა ორიენტირებული და ამ გზით იქ მომუშავე ახალგაზრდების მაგისტრატურაში მოზიდვა; ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ მათთვის სასწავლო სტიპენდიების გამოყოფის შესაძლებლობის შესწავლა.

- აკადემიური პერსონალის პროფესიული სრულყოფის, მათი ცოდნის განახლებისა და გაღრმავების ყოველმხრივი ხელშეწყობა.

- სასწავლო-კვლევითი პროცესის შემდგომი სრულყოფა – ფაკულტეტის საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოებით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მულტიმედიისა და სარესურსო ცენტრების განვითარებით, სამეცნიერო ბიბლიოთეკების საერთაშორისო ქსელში ჩართვით.

- სწავლების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვა ფაკულტეტზე (პრეზენტაცია, დისტანციური სწავლება, გამოცდილებითი და ინტერაქციული სწავლება და სხვ.).

- ფაკულტეტის ვებ-გვერდის და მისი უცხოენოვანი ვერსიის მუდმივი შინაარსობრივი განახლება და ვიზუალური სრულყოფა

- ფაკულტეტზე უკვე მოქმედ "ნორჩ მეცნიერთა სკოლისა" და "საბავშვო უნივერსიტეტის" საქმიანობის მასშტაბების გაზრდა საშუალო სკოლებთან თანამშრომლობის გაფართოების გზით.

- ცნობილი ადამიანების, მეცნიერებისა და ექსპერტების სისტემატურად მოწვევა ფაკულტეტზე საჯარო ლექციების წასაკითხად და ქვეყნისა და

საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხებზე დისკუსიების მოსაწყობად; ამ თვალსაზრისით ფაკულტეტის ერთგვარ ღია ფორუმად გადაქცევა.

კვლევა

- სამეცნიერო კვლევების ფაკულტეტის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად გადაქცევა და სამომავლოდ პროფესორთა ხელფასის განსაზღვრისას კვლევითი კომპონენტის როლის გაზრდა.

- ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის განსაზღვრა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

- ფაკულტეტის როგორც სტუდენტების ისე პროფესორების აქტიური მონაწილეობა სამხრეთ კავკასიის რეგიონულ და საერთაშორისო კვლევებში, სამეცნიერო კონტაქტების გაფართოების, განათლების ხარისხის, ცოდნის ინტენსივობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

- წამყვან საზღვარგარეთულ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან მეცნიერული თანამშრომლობის გააქტიურება და მათი მონაწილეობით ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება.

- კომერციული შეკვეთების მიღება და გრანტების მოზიდვა კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

- საერთო საფაკულტეტო სამეცნიერო ჟურნალის (როგორც ბეჭდვითი ისე ელექტრონული) გამოცემა, სადაც დაიბეჭდება ფაკულტეტის პროფესორთა, დოქტორანტთა და უნივერსიტეტის გარეთ მოღვაწე წამყვან ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები.

- ფაკულტეტის პროფესორებისთვის ხელშეწყობა სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემასა და თარგმნა-პოპულარიზაციაში.

- ფაკულტეტის პროფესორთა საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემების სარედაქციო კოლეგიებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სახელის გატანას საერთაშორისო ასპარეზზე.

- ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებებთან ინსტიტუტების შექმნის ხელშეწყობა, კვლევის გააქტიურებისა და სასწავლო და სამეცნიერო პროცესის შერწყმა-დაახლოების მიზნით.

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, რაც დაიწყო და ტრადიციად უნდა იქცეს ფაკულტეტზე და ამ მიმართულებით უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

- სტუდენტთა, განსაკუთრებით მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩაბმა ფაკულტეტის კვლევით საქმიანობაში.

- სტუდენტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, ექსპედიციების და საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება.

- ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგებით საწარმოთა და ორგანიზაციათა დაინტერესება მათი შემდგომი დანერგვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებასაც.

- ბიზნესის დაინტერესება და ჩართვა სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაში.

ადმინისტრირება

- ფაკულტეტის აკადემიური და ფინანსური ავტონომიის გაფართოება.

- ფაკულტეტის უზრუნველყოფა სასწავლო პროცესის ეფექტური და სტუდენტზე ორიენტირებული მომსახურებით.

- ფაკულტეტის სრული აღჭურვა ადმინისტრირების, აკადემიური საქმიანობისა და კვლევისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით.

- შასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა რეგისტრაციის სისტემის, მონაცემთა ბაზის, ცხრილების შედგენისა და დოკუმენტაციის წარმოების მუდმივი გაუმჯობესება.

- სტუდენტებისა და პროფესორებისათვის ინფორმაციის გამჭვირვალეობის და მიწოდების სისწრაფის უზრუნველყოფა.

- სტუდენტთა მომსახურებისა და ტუტორიუმის ინსტიტუტის შემდგომი დახვეწა-განვითარება.

- ფაკულტეტის საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება.

- ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან პერიოდული შეხვედრების მოწყობა; მათთან არსებული კონტაქტების გაღრმავება და ფაკულტეტის საქმიანობის ყველა სფეროში მათი რაციონალური რჩევების გათვალისწინება.

- ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება და იმავდროულად ანგარიშგების პრინციპის დანერგვა, რაც უფრო ეფექტურს გახდის ინტერპერსონალურ და შრომით ურთიერთობებს.

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის და სოციალური კომპეტენციის ამაღლების მიზნით სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება.

- ფაკულტეტზე სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირებისთვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშემწყობი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის წარმართვა.

- პროფესორთა დატვირთვის ოპტიმალური სისტემის შემუშავება, რაც შესაძლებელს გახდის მათი დროის ეფექტურ გამოყენებას და სტიმული იქნება სწავლების და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალგაზრდა პერსპექტიულ მკვლევართა მოზიდვისთვის.